

სასწრაფო დახმარების განყოფილება

თავის ტრავმა ზრდასრულებში

რჩევები სახლში დაბრუნებისთვის



თქვენმიიღეთშოკითავისარეში.ესდოკუმენტი გაწვდით ინფორმაციას საჭირო ზომებისა და დაკვირვებების შესახებ, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ საავადყოფოდან გაწერის შემდეგ.

რა მოხდა ?

თქვენ მიიღეთ ქალა-ტვინის ტრავმა ან ტვინის შერყევა. თქვენი გამოკვლევის შედეგები დამამშვიდებელია და მძიმე დაზიანების ნიშნები არ გამოვლენილა.

○ თქვენი შემთხვევისა და კლინიკური გამოკვლევის გათვალისწინებით, თავის ტვინის სკანერის ჩატარება საჭიროდ არ იქნა მიჩნეული.

○ ჩატარებულმა თავის ტვინის სკანირებამ არანაირი დაზიანება, დაკავშირებული თქვენს ტრავმასთან, არ გამოავლინა.

სახლში დაბრუნება შესაძლებელია, მაგრამ აუცილებელია გარკვეული სიფრთხილის ზომების დაცვა.

გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

შესაძლო გართულებების თავიდან ასაცილებლად უნდა დაიცვათ შემდეგი სიფრთხილის ზომები :

▲ დაისვენეთ

▲ დალიეთ წყალი და იკვებეთ ჩვეულებრივად.

▲ არ მიიღოთ საძილე საშუალებები ან ტკივილგამაყუჩებლები, გარდა პარაცეტამოლისა, თუ თქვენმა ექიმმა სხვაგვარად არ გირჩიათ.

▲ მოერიდეთ ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მიღებას მინიმუმ 3 დღის განმავლობაში.

▲ მომდევნო დღეებში ეტაპობრივად დაუბრუნდით თქვენს ჩვეულებრივ საქმიანობას.

▲ შეძლებისდაგვარად შეამცირეთ ეკრანების გამოყენება.

▲ არ დაკავდეთ სპორტით მანამდე, სანამ სიმპტომები არ გაქრება.

▲ არ დაკავდეთ აქტივობებით, რომლებიც თავის ტრავმის მაღალ რისკთან არის დაკავშირებული.

რა ნიშნებია საგანგაშო?

თავის ტრავმის გართულებები იშვიათია, თუმცა არსებობის შემთხვევაში, მათი გამოვლენა დროულად უნდა მოხდეს. ამ გართულებებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან იშვიათია, ქალასშიდა სისხლდენა წარმოადგენს ძალიან სერიოზულ რისკს. იგი ყველაზე ხშირად ვლინდება შემთხვევიდან 24 საათის განმავლობაში.

საგანგაშო სიმპტომები

დაუყოვნებლივ დარეკეთ 144-ზე, თუ შენიშნავთ შემდეგ სიმპტომებს :

- ▲ ძლიერი ძილიანობა
- ▲ თავის ტკივილი, რომელიც სწრაფად მწვავდება
- ▲ გულისრევა და განმეორებითი ლებინება
- ▲ კრუნჩხვები
- ▲ კიდურის დაბუჟება, ძალის შემცირება ან მგრძნობელობის დაქვეითება.
- ▲ მეტყველების გაძნელება, ცნობიერების დარღვევა ან უჩვეულო ქცევა.
- ▲ მხედველობის ან სმენის დარღვევა
- ▲ წონასწორობის დარღვევა

ხშირი და ჩვეული სიმპტომები

შემდეგი სიმპტომები ჩვეულებრივ ქრება რამდენიმე დღის ან რამდენიმე კვირის შემდეგ.

- ▲ დაღლილობა
- ▲ მსუბუქი თავის ტკივილები
- ▲ თავბრუსხვევები
- ▲ მეხსიერების დარღვევები
- ▲ ძილიანობა
- ▲ გაღიზიანება
- ▲ ნევროზულობა
- ▲ მგრძნობელობა ხმაურისა და სინათლის მიმართ



სკანირება სხვა ენებისთვის
Scan for other languages